


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების  
განყოფილების დებულება  
Regulation for the Training Workshops' Department

### წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის დაიურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N18);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში






შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების  
განყოფილების დებულება  
Regulation for the Training Workshops' Department

## შინაარსი

1. გავრცელების არე .....	5
2. ნორმატიული მითითებები .....	5
3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები .....	5
4. ზოგადი დებულება .....	6
5. სასწავლო საამქროების ამოცანები და ფუნქციები .....	6
6. სასწავლო საამქროების და სახელოსნოების განყოფილების პერსონალი ...	7
7. სიმულატორების შემოწმება .....	8
8. შემოწმება და კონტროლი .....	8
9. რესურსები .....	8



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების  
განყოფილების დებულება  
Regulation for the Training Workshops' Department

## 1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის სასწავლო საამქროების და სახელოსნოების განყოფილების დებულებას.
- 2) დებულება ვრცელდება შპს ბუსსს ანრის სასწავლო საამქროების და სახელოსნოების განყოფილებაში მომუშავე პირებზე და წარმოადგენს მათთვის ნორმატიულ დოკუმენტს.
- 3) დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), სადაც საამქროებში, ლაბორატორიებში, სიმულატორებთან და სხვა საწვრთნელ საშუალებებთან მომუშავე პირები ეცნობა დებულებას.
- 4) წინამდებარე დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

## 2. ნორმატიული მითითებები


არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) ISO 9001:2008 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
- 2) ISO 9000:2005 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) STCW as amended – საერთაშორისო კონვენცია „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით;
- 4) საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- 5) საქართველოს კანონით „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
- 6) პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები;
- 7) ნდ №2-010101 სასწავლებლის წესდება;
- 8) ნდ N2-020101 – ხარისხის სახელმძღვანელო
- 9) ნდ 2-0201-01- დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა

## 3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები

### 3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)**, - რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **დოკუმენტის პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **შიდა მოქმედი დოკუმენტი** - (ნორმატიული და საინფორმაციო) - შპს „სსც ანრი“-ს ქვედანაყოფებში შემუშავებული დოკუმენტი.
4. **დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარი** - შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტი რომელსაც გააჩნია აღრიცხული ნომერი და გავრცელების სფეროს შესაბამისად დაგზავნება შესაბამის განყოფილებებში.
5. **კონფიდენციალობა** - საიდუმლო ან განდობილი ინფორმაციის შენახვა-გაუმჟღავნებლობა, რაც განისაზღვრება სათანადო მოქმედი დოკუმენტით. **კონფიდენციალობის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონდებლობის და სხვა რეგლამენტირებული აქტებით.**
6. **კრედიტი** - ერთეული რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესრულებულ სამუშაოს მოცულობას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების  
განყოფილების დებულება  
Regulation for the Training Workshops' Department

7. მოდული - სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას.

### 3.2 შემოკლებები

1. შპს ბუსსს ანრი (სასწავლებელი) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
2. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
3. ხმს - ხარისხის მართვის სისტემა
4. საწვრთნელი საშუალებები - შპს ბუსსს ანრიში არსებული სასწავლო საამქროები, სიმულატორები, ლაბორატორიები და სხვა დანადგარები, აღჭურვილობა და ა.შ., რომელიც გამოიყენება პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად.
5. პერსონალი - თანამშრომლები, მათ შორის პედაგოგები, რომლებიც ჩართული არიან პრაქტიკული მეცადინეობების წარმოებაში ამა თუ იმ საწვრთნელი საშუალების გამოყენებით.
6. სტუდენტი - ბუსსს ანრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები

## 4. ზოგადი დებულება


- 1) სასწავლო საამქროების და სახელოსნოების განყოფილება არის სწავლა, სწავლების, და საწვრთნელი პროცესების დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული;
- 2) შპს ბუსსს ანრიში პროფესიული სტუდენტებისა და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელებისათვის არის შექმნილი ყველა პირობა პრაქტიკული მეცადინეობების, წვრტნების მაქსიმალურად რეალობასთან მიახლოებულად ჩატარებისთვის, რისთვისაც სასწავლებელს გააჩნია სასწავლო საამქროები, ლაბორატორიები, სიმულატორები და სხვა საწვრთნელი საშუალებები.
- 3) სასწავლებელში ფუნქციონირებს შემდეგი საწვრთნელი ერთეულები:
  - ✓ სასწავლო საამქროები: სამანქანე განყოფილება, საშემდღებლო, სახარატო, საამქროები
  - ✓ ლაბორატორიები, მათ შორის ჰიდრაულიკა, პნევმატიკა, სატაკელაჟო სამუშაოების ლაბორატორია
  - ✓ მაღალი ძაბვის სიმულატორი
  - ✓ კომპიუტერული კლასები
  - ✓ სიმულატორები: გემის ხიდური, რეალური გემის სიმულატორი, სამაშველო ნაგები და კანჯოები, აუზი, სმანქანე განყოფილების სიმულატორი, კავშირისა და უსაფრთხოების საზღვაო გლობალური სისტემის სიმულატორი, ავტომატიური რადიოლოკაციური სადგურის სიმულატორი, ელექტრონული კარტოგრაფიის სიმულატორი, სხვადასხვა ტიპის ტანკერების სიმულატორი

## 5. ამოცანები და ფუნქციები

### 5.1 სასწავლო საამქროების

სასწავლო საამქროების ამოცანებსა და ფუნქციებში შედის:

- 1) პროფესიულ სტუდენტთა სწავლება სათანადო დონეზე, ცოდნის მიღება, რომელსაც მოითხოვს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ და მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენცია STCW, ცვლილებებით.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სასწავლო საამქროებისა და სხელოსნოების  
განყოფილების დებულება  
Regulation for the Training Workshops' Department

- 2) პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობების სათანადო დონეზე ჩატარება.
- 3) სწავლების პროცესი არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს თუ არ იქნება გათვალისწინებული თუ როგორ აღიქვამენ, განახორციელებენ და ითვისებენ პროფესიული სტუდენტები შესწავლილს, როგორ გამოიყენებენ ცოდნას პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას.
- 4) სასწავლო საამქროებში სწავლებას გადიან პროფესიული სტუდენტები თეორიული სწავლების კურსის შემდეგ, რათა დაეუფლონ ხელობას (შემდუღებლები, ხარატები).

## 6. სასწავლო საამქროებისა და სხელოსნოების განყოფილების პერსონალი

სასწავლო საამქროებისა და სხელოსნოების განყოფილებაში სამტატო განრიგის საფუძველზე გენერალური დირექტორის მიერ ინიშნება სასწავლო საამქროებისა და სხელოსნოების განყოფილების უფროსი, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ტრენაჟორების ლაბორანტი.

### 6.1 სასწავლო საამქროებისა და სხელოსნოების განყოფილების უფროსი მოვალეობები:


- 1) ბუსსს ანრიში არსებული ლაბორატორიების, საამქროების, სხელოსნოების, სამანქანე განყოფილებაში არსებული ტექნიკის მუშაობის კონტროლი, მონიტორინგი, მოვლა, განახლება, მეცადინეობებისთვის მომზადება, მეცადინეობის შემდეგ შემოწმება;
- 2) ლაბორატორიებში, საამქროებში, სხელოსნოებში, სამანქანე განყოფილებაში უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვის კონტროლი;
- 3) ლაბორატორიებში, საამქროებში, სხელოსნოებში, სამანქანე განყოფილებაში მეცადინეობის მსველელობისას პედაგოგისთვის/ინსტრუქტორისთვის კონტროლის და ტექნიკური დახმარების გაწევა;
- 4) უზრუნველყოს სასწავლო პროცესის დროს სტუდენტთა დასწრება და დისციპლინა.
- 5) სამუშაო ადგილის მოწყობა მეცადინეობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო მასალებით.
- 6) უსაფრთხოების დაცვის წესების ინსტრუქციის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
- 7) ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ჩაატაროს საჭირო სამუშაოები მანამ სანამ არ იქნება აღმოფხვრილი შეუსაბამობა.
- 8) მოწყობილობა-დანადგარების გამართულობის კონტროლი.

სასწავლო საამქროებისა და სხელოსნოების განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობები ვრცლად განსაზღვრულია ფუნქციონალურ მოვალეობებში **2-010201/40**.

### 6.2 ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ტრენაჟორების ლაბორანტი მოვალეობები:

- 1) უნდა შეეძლოს სახანძრო და სამაშველო ტრენაჟორის მოწყობილობა-დანადგარების მართებული გამოყენება სასწავლო მიზნებით;
- 2) უნდა გააჩნდეს მეთოდური მითითებები, რომელსაც გამოიყენებს მეცადინეობისას სტუდენტებთან;
- 3) ლაბორატორიული მეცადინეობის წინ მოამზადოს მეცადინეობისთვის საჭირო მასალები;
- 4) აკონტროლოს და აწარმოოს სტუდენტთა დასწრება მეცადინეობებზე;
- 5) შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში მოახსენოს ადმინისტრაციის წარმომადგენელს;
- 6) ორგანიზება გაუწიოს სახანძრო და სამაშველო ტრენაჟორის საჭირო ინვენტარით მოწყობას;
- 7) თვალყური ადევნოს მოწყობილობა-დანადგარების გამართულობას;





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების  
განყოფილების დებულება  
Regulation for the Training Workshops' Department

- 8) თვალყური ადევნოს სტუდენტებს/მსმენელებს მეცადინეობის დროს მწყობრიდან არ გამოიყვანონ მოწყობილობა, დანადგარები;
- 9) ყოველგავრი დახმარება გაუწიოს პედაგოგს ლექცია-პრაქტიკულის ჩატარების დროს;
- 10) თვალსაჩინო ადგილას იქონიოს ტრენაჟორის გამოყენების ინსტრუქცია, რომელსაც გააცნობს სტუდენტებს/მსმენელებს მეცადინეობის დაწყებამდე
- 11) შეასრულოს სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების უფროსის განკარგულებები

ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ტრენაჟორების ლაბორანტის უფლება-მოვალეობები დეტალურად გაწერილი ფუნქციონალურ მოვალეობებში **2-010201/41**.

**6.3 სასწავლო საამქროების და სახელოსნოების პედაგოგიური პერსონალი (პროფესიული მასწავლებელი, ინსტრუქტორი)**

სასწავლო საამქროების და სახელოსნოებში პრაქტიკული წვრთნების, მეცადინეობების ჩასატარებლად მოიწვევა პედაგოგიური პერსონალი. პედაგოგიური პერსონალი მუშაობს საათობრივი ანაზღაურების წესით, აქედან გამომდინარე მათი გარკვეული ვადით მოწვევა ხდება ხელშეკრულებების საფუძველზე.

პედაგოგიური პერსონალის საათობრივ ანაზღაურებას განსაზღვრავს სასწავლებლის გენერალური დირექტორი; დიფერენციაცია გამოწვეულია პედაგოგის სტაჟის, სპეციალობისა და ხარისხის მიხედვით.

**7. სიმულატორებს და დანადგარებს შემოწმება**

ბუსსს ანრიში არსებულ სიმულატორებს და დანადგარებს უტარდება შემოწმებები, მათ შორის:

- დანადგარის, სიმულატორის, ტრენაჟორის გამოყენების აღრიცხვა
- დანადგარის, სიმულატორის გამოყენების წინ შემოწმება;
- ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი

ყველა შემოწმება აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში.

**8. შემოწმება და კონტროლი**

წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის უფროსი და ხარისხის სამსახური.

დებულების პერიოდული შემოწმება ხორციელდება შიდა აუდიტის დროს.

**9. რესურსები**

წინამდებარე დებულების შესრულებისათვის საჭიროა შემდეგი რესურსები:

1. საგამოცდო უწყისები
2. სასწავლო ჟურნალები
3. საგამოცდო ბილეთები
4. კვალიფიცირებული პედაგოგები